

ბრძანება

11.12.2007 წ.

№3/209

ქ. თბილისი

ქ. ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის შენობისათვის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ

საქართველოს უმნიშვნელოვანეს ისტორიულ-კულტურულ ფასეულობათა სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის 3 პუნქტისა და დროებითი სათათბირო ორგანოს – კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, აგრეთვე „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 51-ე, 52-ე, 53-ე, 54-ე, 55-ე, 56-ე, 61-ე და 95-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად

ებრძანება:

1. მიენიჭოს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი ამ ბრძანების №1 დანართში მითითებულ ობიექტს თანდართული (დანართი №2) სააღრიცხვო ბარათის შესაბამისად.
2. დაევალოს კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტს ამ ბრძანების ამოქმედებიდან 1 თვის ვადაში, ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული ობიექტისათვის ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ მონაცემების ძეგლების სახელმწიფო რეესტრში და სამინისტროს ინტერნეტ გვერდზე ასახვა.
3. დაევალოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს, წარმოადგინოს შესაბამისი დასკვნა ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისათვის კატეგორიის მინიჭების თაობაზე.
4. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს მთავრობაში (მისამართი: ქ. თბილისი, პავლე ინგოროყვას ქუჩა №7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი, ქ. თბილისი დავით სარაჯიშვილის ქუჩა №1^ა)

მინისტრი

გ. გაბაშვილი

საქართველოს კულტურის,
ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის
2007 წლის 11 დეკემბრის
№ 3/209 ბრძანების
დანართი №1

- 1) ქ. ქუთაისი, თბილისის ქ. №1, ქ. ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის შენობა (№2 დანართის სააღრიცხვო ბარათი №1);

საქართველოს კულტურის,
ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის
2007 წლის 11 დეკემბრის № 3/209 ბრძანების
დანართი №2

ძეგლის სააღრიცხვო ბარათი № 1



1. სახელწოდება – ნ. ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი
2. ადგილმდებარეობა/მისამართი – საქართველო, ქ. ქუთაისი, თბილისის ქუჩა №1
3. სახეობა – არქიტექტურის
4. თარიღი – XIX საუკუნის II ნახევარი